**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის**
**ოქმი N2**

**დაბა ქედა** **25 მარტი, 2026 წელი.**

**სხდომა დაიწყო 13:30 სთ-ზე**
**სხდომა დამთავრდა 13:50 სთ-ზე**

სხდომას თავმჯდომარეობდა ნაზიმ ჩხეიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
გივი ლორთქიფანიძე - კომისიის წევრი;
ზვიად არძენაძე - კომისიის წევრი;
რამაზ ალიქაძე - კომისიის წევრი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**
თენგიზ ყადიძე - კომისიის წევრი;
დურმიშხან შავიშვილი - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - გურამ ანანიძე;
საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

25.03.2026 წელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ნაზიმ ჩხეიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 2 | მარინა ბარამიძე | კომისიის წევრი | |
| 3 | გივი ლორთქიფანიძე | კომისიის წევრი | |
| 4 | ზვიად არძენაძე | კომისიის წევრი | |
| 5 | დურმიშხან შავიშვილი | კომისიის წევრი | |
| 6 | რომან დავითაძე | კომისიის წევრი | |
| 7 | რამაზ ალიქაძე | კომისიის წევრი | |
| 8 | თენგიზ ყადიძე | კომისიის წევრი | |
| 9 | მზია ბოლქვაძე | კომისიის წევრი | |

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

**დღის წესრიგი:**

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.**

**მომხსენებელი**: საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.**

**მომხსენებელი**: სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნაზიმ ჩხეიძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.**

**მომხსენებელი**: სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნაზიმ ჩხეიძე

**1. მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 20 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია (წერილი ნომერი: 95-95260791; წერილის თარიღი:20.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ".

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებს წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:**
**მომხრე: 6**
**წინააღმდეგი: 0**

**კომისიამ გადაწყვიტა:**
წარმოდგენილი სახით განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ".

**2. მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 13 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი: 12-95260723-95; განცხადების თარიღი:13.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში".

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი ანგარიში.

კომისიის  წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:**
**მომხრე: 6**
**წინააღმდეგი: 0**

**კომისიამ გადაწყვიტა:**
განხილულ იქნას „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში“ საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

**3.მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

| | **განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები** | **განხილვის თარიღი** | **საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე** | **საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე** | **პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება. | პერიოდულად | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | კომისიის თავმჯდომარე |
| 2 | ააიპ „ქედის კულტურის ცენტრი“- ს მიერ 2025 წელს გაწული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. | მაისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | ააიპ „ქედის კულტურის ცენტრი“- ს დირექტორი |
| 3 | ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა | ივნისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს ბიუროს სხდომაზე | კომისიის თავმჯდომარე |

კომისიის  წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:**
**მომხრე: 6**
**წინააღმდეგი: 0**

**კომისიამ გადაწყვიტა:**
დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:50 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე** **ნაზიმ ჩხეიძე**

**ოქმი შეადგინა:**
**საკრებულოს აპარატის პირველი**
**კატეგორიის უფროსი სპეციალისტი**
**კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში** **ნანა ბერიძე**